ხელშეკრულება # 2022 / 10 / 160

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი 11 ივლისი, 2022 წ.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული `შემსყიდველად", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსის, ლანა ჯიბლაძის სახით და **სსიპ ,,საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი",** შემდგომში წოდებული `მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ქეთევან მეფარიშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის №152 განკარგულებისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, 2022 წლის 08 ივლისის #199277/17 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში – `ხელშეკრულება~) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 `დღე~, `კვირა~, `თვე~ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 `შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 `მიმწოდებელი" – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 `მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1.8 მსმენელები – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები, რომლებმაც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში უნდა გაიარონ სატრენინგო კურსი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სატრენინგო კურსი „თანამშრომელთა მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილება" ტრენინგის ორგანიზებისა და ჩატარების მომსახურების (CPV კოდი - 80511000) შესყიდვა.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი სატრენინგო კურსის აღწერილობა განისაზღვრება დანართი #1-ით და დანართი N2-ით („თანამშრომელთა მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილება" - ტრენინგი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი #2, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) და შეადგენს 922.88 (ცხრაასოცდაორი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებლისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) 2022 წლის 12 ივლისს (1 დღე, 5 საათი) ჩატარების ადგილი: ქუთაისის იუსტიციის სახლის შენობა. მონაწილეთა რაოდენობა: 19 მონაწილე. ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით (დანართი #1 და დანართი #2) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ეკატერინე ბაქრაძე).

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 ინსპექტირების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულების კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ ან შესაძლო უმოკლეს ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის საკუთარი შემოსავლებით მიღებული სახსრები.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გახანგრძლივების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ან აფრთხილებს მას, რომ ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. თუ დამატებით ვადაში ან გაფრთხილების მიუხედავად მხარე არ ასრულებს ან მნიშვნელოვნად არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურება სრულად დააკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი შესაბამისი სტანდარტებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ლანა ჯიბლაძის სახით, მისამართი: თბილისი, გორგასლის 22 ტელეფონი: 291-05-17, საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, GE24NB0330100200165022 ბანკის კოდი: TRESGE22; სახაზინო კოდი: 707427078 ს/კ – 202238621	**სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი,** წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის , ქეთევან მეფარიშვილის სახით, მისამართი : თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.#1 საბანკო რეკვიზიტები : ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707997153 ს/კ – 204423230

TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA

Digitally signed by TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA
Date: 2022.07.11 18:49:15 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სატენინგო მომსახურების „თანამშრომელთა მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილება“ შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი - **ლანა ჯიბლაძე**

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილება

პროგრამის აღწერა:	მოტივაცია ის ძალაა, რომელიც ენერგიით მუხტავს, მიმართულებას აძლევს და სიმყარეს სძენს პიროვნების ქცევას. სამუშაოთი კმაყოფილება დამოკიდებულია, როგორც შინაგან, ასევე გარეგან მოტივაციაზე. ფსიქოლოგებმა შინაგანი მოტივები გააერთიანეს ზრდის ფაქტორში, ხოლო გარეგანი მოტივები კი - ჰიგიენურ ფაქტორში. ზოგ შემთხვევაში ადამიანი კმაყოფილია თავისი საქმის ორი ასპექტიდან მხოლოდ ერთით. ზრდის ასპექტი ადამიანს ანიჭებს წარმატებისა და მიღწევის აღიარების შეგრძნებას. თუ პიროვნება სამუშაოთი კმაყოფილია და მას სიამოვნებაც მოაქვს, მაშინ ის ბედნიერია. ადამიანი იზრდება, როგორც პიროვნება და განიცდის კმაყოფილების გრძნობას. მასში აღმოცენდება შრომისადმი შინაგანი მოტივაცია. შრომით კმაყოფილებაში იგულისხმება შრომისადმი ადამიანის გლობალური დამოკიდებულება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ დამოკიდებულებას მრავალი ფაქტორი და სხვადასხვაგვარი მოტივი განსაზღვრავს. ტრენინგის/ვორქშოფის მეშვეობით თანამშრომლებს შეექმნებათ გარკვეული წარმოდგენა მოტივთა ტიპოლოგიასა და შრომით განწყობებზე, რაც სამუშაოთი კმაყოფილების საფუძველია.
ტრენინგის/ვორქშოფის მიზანი:	პიროვნების სხვადასხვა ტიპოლოგიის, ცნობიერი და არაცნობიერი, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის, მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის, მოთხოვნილებებისა და სტიმულების, მოტივთა ტიპოლოგიის გაცნობა და ანალიზი; პრაქტიკული სავარჯიშოებისა და ტესტების ჩატარება; მონაწილეთა შრომითი კმაყოფილების დონის დადგენა.
ტრენინგზე/ვორქშოფზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე მონაწილეები შეძლებენ:	➢ განსაზღვრონ თავიანთი შრომითი კმაყოფილების ხარისხი და საკუთარ კოლექტივში/გუნდში არსებული ატმოსფეროს ძირითადი მახასიათებლები; ➢ პიროვნების ფსიქოგეომეტრიული ფორმების ფსიქოლოგიურ დახასიათებასა და მის დაკავშირებას სამუშაოთი კმაყოფილებასთან
პროგრამის ძირითადი თემები:	➢ პიროვნების ტიპოლოგია და ფსიქოლოგია ➢ მოტივაციის მნიშვნელობა ➢ მოტივაციის სახეები ➢ მოტივაციის თეორიები ➢ მოტივაცია და კმაყოფილება სამუშაოთი ➢ მოტივაციის სტრატეგიის შემუშავების მიდგომები
ტრენინგის შედეგების შეფასება:	სსიპ ,,იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სტანდარტის გათვალისწინებით: - ტრენინგის ბოლოს მონაწილეები შეავსებენ უკუკავშირის კითხვარს, სადაც შეეძლებათ დააფიქსირონ საკუთარი დამოკიდებულება ტრენინგის სხვადასხვა კომპონენტთან დაკავშირებით და შეაფასონ ტრენინგის ეფექტიანობა.

მონაწილეთა სერტიფიცირება:	სსიპ ,,იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ სტანდარტის გათვალისწინებით, სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ იმ მონაწილეებზე, რომლებიც დაესწრებიან ტრენინგის, სულ მცირე, 75%-ს.
ტრენინგის ხანგრძლივობა:	3 საათი
ტრენინგის ადმინისტრირების ფორმა:	პირისპირ

ტრენინგის/ვორქშოფის განრიგი და თემები

სესია	დრო	თემები/აქტივობები
I	**1-ლი საათი**	- ტრენინგის/ვორქშოფის პროგრამის თემებისა და მიზნების წარდგენა, დღის წესრიგისა და ტექნიკური საკითხების გაცნობა - ტრენინგის მონაწილეთა ინფორმირება - მონაწილეებისა და ტრენერის გაცნობა/სავარჯიშო -ინტელექტუალური ლაბილობა ანუ ყურადღების გადანაცვლებადობის უნარი - ჯგუფის ადაპტაცია და მომავალი ერთობლივი მუშაობისათვის მომზადება - ტრენინგთან/ვორქშოფთან დაკავშირებული მოლოდინებისა და საჭიროებების იდენტიფიკაცია - პიროვნების კლასიფიკაციები და მოტივთა ტიპოლოგია; მასლოუს პირამიდა; სამოტივაციო სტრატეგიები და სტრატეგიებზე მოქმედი ფაქტორები (თეორიული პრეზენტაცია)
II	**მე-2 საათი**	- **ფაქტორები, რომლებიც სამუშაოთი კმაყოფილებაზე მოქმედებს** (პრეზენტაცია, ჯგუფური დისკუსია) - **სავარჯიშო - შრომითი კმაყოფილების დადგენა**/პრაქტიკული მუშაობა - **სავარჯიშო/ტესტი -ფიდლერის მეთოდიკა ორგანიზაციის ატმოსფეროს შესასწავლად** - შედეგების ანალიზი და ჯგუფური დისკუსია
III	**მე-3 საათი**	- **თვითშეფასება და მოტივაცია** (პრეზენტაცია) - **საკუთარი თავით კმაყოფილება და მოწონების მოტივაცია** - პრაქტიკული სავარჯიშოები (ჯგუფური დისკუსია)

ხარჯთაღრიცხვა

დამკვეთი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ტრენინგის თემა: თანამშრომელთა მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილება

მონაწილეთა რაოდენობა: 1 ჯგუფი, 19 მონაწილე.

დღეების რაოდენობა: **1** დღე, 5 საათი.

ჩატარების ადგილი: ქუთაისის იუსტიციის სახლი

-	მომსახურების დასახელება	ერთეულის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	ტრენერის/ების ანაზღაურება	სთ	5	80	400
2	საკანცელარიო	ცალი	19	9.00	171
3	სერთიფიკატი	ცალი	19	4.25	80.75
4	**ჯამი**				652
5	**ჯამი ტრენინგის ადმინისტრირების ხარჯის ჩათვლით**				**782.10**
6	**დღგ 18%**				**140.78**
7	**ჯამი**				**922.88**